

„მოწყვლადი სოციალური ჯგუფების მქონე პირთა მედიკამენტებითა და საკვები დანამატების კომპენსაციით უზრუნველყოფა“ ქვეპროგრამის ფარგლებში, ღონისძიებით „სამი და მეტი შშმ პირთა (ოჯახში) დახმარება მედიკამენტების შეძენისათვის“ გათვალისწინებული სამედიცინო ვაუჩერის გაცემის და გამოყენების წესი

„მოწყვლადი სოციალური ჯგუფების მქონე პირთა მედიკამენტებითა და საკვები დანამატების კომპენსაციით უზრუნველყოფა“ ქვეპროგრამის ფარგლებში, ღონისძიებაში „სამი და მეტი შშმ პირთა (ოჯახში) დახმარება მედიკამენტების შეძენისათვის“ ჩასართავად, ბენეფიციარმა ან მისმა წარმომადგენელმა სამედიცინო ვაუჩერის მისაღებად განცხადებით უნდა მიმართოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას და წარადგინოს:

- ა) მოქალაქის განცხადება;
- ბ) ქვეპროგრამის მოსარგებლის დამადასტურებელი საბუთი;
- გ) პირადობის მოწმობის ასლი, ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია;
- დ) ოჯახის წევრების (შშმ პირების) შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი მოწმობები;
- ე) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა №IV-100/ა;
- ვ) ანგარიშ-ფაქტურა აფთიაქიდან მედიკამენტების მითითებით.

ქვეპროგრამის ბენეფიციარის მიერ სრულყოფილად წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე გაიცემა სამედიცინო ვაუჩერი. ქვეპროგრამით დახმარება გაეწევა იმ პაციენტებს, რომლებიც ფლობენ სრულად შევსებულ ვაუჩერს.

„მოწყვლადი სოციალური ჯგუფების მქონე პირთა მედიკამენტებითა და საკვები დანამატების კომპენსაციით უზრუნველყოფა“ ქვეპროგრამის ფარგლებში, მომსახურეობა გაეწევა ქ. ბათუმში 2024 წლის 1 იანვრამდე რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეებს.

ვაუჩერის გაცემა ხორციელდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის საქმისწარმოების განყოფილებიდან (მის: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25) და ა(ა)იპ - მუნიციპალური სერვისების სააგენტოს ადმინისტრაციული ერთეულების სერვისცენტრებიდან.